საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.05.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 035/22

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი მ. ს.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ს.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2022 წლის 11 მაისს საჩივრის ავტორმა მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ მ. ს.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ამავე წლის 16 ივნისს ე. ა.-მ დისტანციურ რეჟიმში გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. მომჩივანის განცხადებით, ადვოკატი მ. ს. წარმოადგენს მისი ყოფილი მეუღლის ლ. ი.-ს ინტერესებს სამოქალაქო დავაში, რაც ეხება არასრულწლოვანი შვილებისთვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის და მათი გვარის შეცვლის საკითხს, ასევე ალიმენტის დაკისრებას.

1.2 საქმეში ჩართვის დღიდანვე ადვოკატი მ. ს. დაინტერესებულია ამ საქმით შეიქმნას პიარი და საქმის შესახებ ინფორმაციებს ავრცელებს სატელევიზიო გადაცემებში და ჟურნალისტებთან. კერძოდ, ადვოკატმა მ. ს.-მა „გადაწყვიტა უფრო მეტი სარგებელი მიეღო მომჩივანის შვილების ხარჯზე“ და ტელეკომპანია „ფორმულას“ მოამზადებინა სიუჟეტი ე. ა.-ის დავის შესახებ მეუღლესთან. ადვოკატმა მ.

ს.-მა ჟურნალისტებს გადასცა საქმის კონფიდენციალური მასალები ბავშვების შესახებ, კერძოდ, გაამჟღავნა ფსიქოლოგის დასკვნები, აღსრულების ოქმები და სოციალური მუშაკების მოხსენებითი ბარათები და დასკვნები.

1.3 საჩივრის ავტორისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების ფაქტი ცნობილი გახდა უშუალოდ „შაბათის ფორმულას“ ჟურნალისტებისგან. ამავე ჟურნალისტმა ე. ა.-ის ადვოკატს განუცხადა, რომ ის გაეცნო დასკვნებსა და ოქმებს და მისი აზრით ბავშვებზე ე. ა. ახორციელებდა მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობას. მომჩივანის ადვოკატისა და ჟურნალისტის საუბარი ჩაწერილია და ინახება ტელეკომპანია „ფ.-ს“ არქივში. საჩივრის ავტორის განცხადებით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წერილით დასტურდება, რომ მათგან მესამე პირებისთვის ინფორმაციის გადაცემა არ მომხდარა. მომჩივანის განმარტებით, მას ადრე ეთიკის კომისიას მიმართული ჰქონდა ადვოკატ მ. ს.-ის მიმართ, თუმცა უშედეგოდ. მომჩივანის განცხადებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სატელევიზიო სიუჟეტში ჩანს მისი საცხოვრებელი სახლის ჭიშკარი და ღობე, სადაც გამოსახულია „მ“ და შესაბამისად, ვინაიდან, ბათუმში ამგვარი სახის ღობე არ აქვს არცერთ საცხოვრებელ სახლს, აღნიშნულით ამ სახლის კუთვნილების იდენტიფიცირება მარტივად შესაძლებელია.

2. მოწმე ადვოკატ ლ. ბ.-ის პოზიცია:

2.1 2022 წლის 23 ივნისს ადვოკატმა ლ. ბ.-მ მოწმის სახით საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან, ეთიკის კომისიაში განსახილველი საკითხი ეხება არასრულწლოვანების ინტერესებს, დათანხმდა საჩივრის ავტორის თხოვნით, მოწმის სახით გამოკითხვას.

2.2 მოწმის განმარტებით, სატელევიზიო სივრცეში სიუჟეტის გასვლამდე ორი დღით ადრე დაუკავშირდა ე. ა. და განუცხადა, რომ მას ჟურნალისტმა აცნობა სიუჟეტის მომზადების შესახებ მის საოჯახო დავაზე, რაც ეხებოდა არასრულწლოვან ბავშვებს. ე. ა.-მ განუცხადა ჟურნალისტს, რომ ვინაიდან ბავშვებს ეხებოდა ეს საკითხი და სასკოლო სივრცეშიც კი გავრცელდებოდა აღნიშნული, არ მოემზადებინა სიუჟეტი, თუმცა აღნიშნულზე უპასუხა, რომ მისი სურვილის მიუხედავად, სიუჟეტს მაინც მოამზადებდა. აღნიშნულის შემდგომ ე. ა.-მ ადვოკატ ლ. ბ.-ის ჩართულობით მიმართა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს, რომელიც დაუკავშირდა ლ. ი.-ს და განუმარტა, რომ არ იყო რეკომენდირებული ასეთი სახის სიუჟეტის მომზადება, ვინაიდან ბავშვის ინტერესებს ეხებოდა, თუმცა ადვოკატის განცხადებით, შესაძლოა, ლ. ი.-მ არ გაითვალისწინა სააგენტოს მითითება.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მასაც დაუკავშირდა ჟურნალისტი, რომელსაც განუმარტა, რომ ის საქმესთან დაკავშირებით არ მისცემდა რაიმე სახის სატელევიზიო კომენტარს და მისი ნებართვის გარეშეც საუბარი არ გასულიყო სატელევიზიო ეთერში. ჟურნალისტმა ადვოკატ ლ. ბ.-ს ჰკითხა, თუ რატომ არ სურდა სიუჟეტის მომზადება, როცა ბავშვების ნახვა ჰქონდა შეზღუდული მამას, რის თაობაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ ის ფლობდა ცრუ ინფორმაციას, რაზეც ჟურნალისტმა უპასუხა, რომ მას მხარის წარმომადგენელმა გადასცა დასკვნები და ოქმები და შესაბამისად ის გაეცნო ამ მასალებს. ადვოკატის განმარტებით, ჟურნალისტს მისთვის არ დაუკონკრეტებია ვინაობა, თუ ვისგან მიიღო საქმის მასალები, თუმცა ვინაიდან, ლ. ი. იმ პერიოდში იმყოფებოდა პარიზში, ბუნებრივია ის ვერ გადასცემდა ამ მასალებს ჟურნალისტს. აღნიშნულის შემდგომ, სატელევიზიო ეთერით გასულ სიუჟეტში ადვოკატმა მ. ს.-მა ინტერვიუს მიცემისას სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან ამონარიდი წაიკითხა (ზუსტი ტექსტი) და შესაბამისად, აშკარა იყო რომ მას ჟურნალისტის თანადასწრებით ჰქონდა ეს დოკუმენტები თან და როგორც ჩანდა, ივარაუდება, რომ სწორედ ის გადასცემდა აღნიშნულ მასალას ჟურნალისტს.

2.4 ადვოკატის განცხადებით, სიუჟეტში ასახული ვიდეოჩანაწერი ფარულად განხორციელდა და შესაბამისად ის არის უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ის ადვოკატი მ. ს. ავრცელებს მას, მათ შორის აწვდის ჟურნალისტებს. ფარული ჩანაწერით პიროვნებების იდენტიფიცირება არ ხდება, თუმცა ამ ჩანაწერის გავრცელების ინტერსი აქვს მოდავე მხარეს და სოციალურ ქსელშიც არასრულწლოვანის ქმედებებს აფასებენ უარყოფითად და ბავშვის მიმართაც იწერება აგრესიული კომენტარები.

2.5 ადვოკატის განმარტებით, სატელევიზიო სიუჟეტში ასევე ასახული იყო ჟურნალისტთან მისი საუბარი, რაზეც უკმაყოფილება გამოთქვა ე. ა.-მა, თუმცა განუმარტა თავის კლიენტს, რომ სიუჟეტში მისი საუბარი იყო არასრული და შესაბამისად, არ იყო ასახული ადვოკატ ლ. ბ.-სთან ჟურნალისტის სრული საუბარი, სადაც ის აცხადებს, რომ ოქმები და დასკვნები მას გააცნო უშალოდ მხარის წარმომადგენელმა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მიუხედავად მისი მცდელობისა, ტელეკომპანია „ფ.-მ“ არ მიაწოდა მას ჟურნალისტთან საუბრის სრული ჩანაწერი.

3. ადვოკატის განმარტება:

3.1 2022 წლის 10 ივნისს ეთიკის კომისიაში ადვოკატმა მ. ს.-მა წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ე. ა. არის მისი კლიენტის - ლ. ი.-ის ყოფილი მეუღლე. მხარეთა შორის წლებია მიმდინარეობს სხვადასხვა სამოქალაქო დავა. 2019 წლიდან დღემდე ადვოკატი ჩართულია აღნიშნულ დავებში, რომელიც ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის, გვარის განსაზღვრისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე, აგრეთვე, მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა, ლ. ი.-ის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. აღნიშნულ პროცესებში ადვოკატი მ. ს. სრულად არის ჩართული, როგორც ლ. ი.-ის წარმომადგენელი.

3.2 ადვოკატის განცხადებით, ე. ა. მის მიმართ გამოირჩევა აგრესიული დამოკიდებულებით, რადგან მისი საქმეში ჩართვის შემდეგ, ე. ა. დააჯარიმა სახელმწიფო მზრუნველობის სააგენტომ, რაც ეხებოდა მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, კერძოდ, მუდმივად ხელშეშლას, ლ. ი.-ის შვილებთან ურთიერთობაში.

3.3 ადვოკატის განცხადებით, მისი საქმეში ჩართვის შემდგომ, არასრულწლოვან შვილებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ძალადობის გამო, ე. ა.-ის მიმართ სასამართლომ გამოსცა დამცავი ორდერი და დაევალა ძალადობრივი ქცევის კორექციის კურსის გავლა. გარდა აღნიშნულისა, ბავშვის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საფუძველზე, კერძოდ, წახალისებისა და ბავშვის დანაშაულის იარაღად გამოყენების გამო, სააგენტომ საქმე გადაგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში და მიმდინარეობს გამოძიება.

3.4 ადვოკატის განცხადებით, ე. ა. სოციალურ ქსელში მის გასაღიზიანებელად გარკვეულ კომენტარებს ავრცელებს, თუმცა ვინაიდან, ის არის ადვოკატი, აცნობიერებს, რომ გააჩნია მეტი თმენის ვალდებულება.

3.5 ადვოკატის განცხადებით, ლ. ი.-ეს წარმოდგენილი აქვს ე. ა.-ის ადვოკატის ლ. ბ.-ის მიმართ საჩივარი ეთიკის კომისიაში, რომელიც ერთ წელზე მეტია არ განხილულა და ამის შემდეგ ლ. ბ.-მ და ე. ა.-მ, არაერთხელ მიმართეს ეთიკის კომისიას მის წინააღმდეგ.

3.6 ადვოკატის განმარტებით, ის არ ახდენს პირთა იდენტიფიკაციას და საუბრობს ფაქტებზე, რაც არ არის აკრძალული. ადვოკატის განმარტებით, რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თითქოს მისი ქმედებებით ბავშვების უფლებები დაირღვა, არის უსაფუძვლო, რადგან ის მოქმედებს კლიენტთან - ბავშვების მამასთან -

კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით და სატელევიზიო გადაცემებში, მათ შორის სოციალურ ქსელში „სტატუსების“ გამოქვეყნებისას საუბრობს მხოლოდ ფაქტებზე და სახელმწიფო უწყებების უმოქმედობაზე ბავშვთა მიმართ ძალადობაზე ან/და რა ბარიერების გადალახვა უწევთ ადვოკატებს იმისათვის, რომ ბავშვების საუკეთესო ინტერესები იყოს დაცული. ის ფაქტი, რომ ის საუბრობს ბათუმზე, არ არის მაიდენტიფიცირებადი ინფორმაცია, რადგან ბათუმში და არამარტო, არაერთ მიმდინარე ოჯახურ დავაშია ჩართული.

3.7 ადვოკატის განმარტებით, „ფ.-ს“ ეთერში გასულ სიუჟეტში ბავშვების და ლ. ი.-ის სახეები დაბლარულია და შეცვლილია მისი ხმა, შესაბამისად, დაცულია ის მნიშვნელოვანი ნორმები, რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული და აღნიშნულით არ ხდება პირთა იდენტიფიკაცია. ადვოკატის განცხადებით, სიუჟეტში ჩანს მხოლოდ ის, თუმცა მისი კლიენტის თხოვნით, ის საუბრობს იმ ექსპერტიზის დასკვნაზე, რომელიც ჩაუტარდა ვიდეო მასალას და განმარტავს, რომ ის არ შეიცავს მონტაჟს და ავთენტურია.

3.8 ადვოკატის განცხადებით, რაც შეეხება მონაკვეთს, რომელსაც ფსიქოლოგის შეფასებიდან კითხულობს, აქაც ის საუბრობს ფაქტზე მისი კლიენტის თანხმობით. ადვოკატის განმარტებით, დასკვნებიდან მხოლოდ გარკვეული ნაწილების ამოკითხვა, რაც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს არ არის დარღვევა.

3.9 ადვოკატის განმარტებით, ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელში განათავსა ლ. ი.-ის ადვოკატმა ო. ხ.-მ სისხლის სამართლის საქმეზე და „მონიშნა“ ის პოსტზე და მსგავსად მისი პოზიციისა მანაც განმარტა, რომ თუ როგორ არ რეაგირებენ ფაქტებზე შესაბამისი უწყებები.

3.10 ადვოკატის განცხადებით, მას არ ეკუთვნის სოციალურ სივრცეში არსებული გვერდი „მშობლები შვილებისთვის“. ადვოკატის განცხადებით, გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნულ ვიდეოს მოჰყვა საკმაოდ დიდი გამოხმაურება მათ შორის გარკვეული ჯგუფების მხრიდან.

4. მოწმე ლ. ი.-ის პოზიცია:

2022 წლის 23 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმე ლ. ი.-ის მიერ წარმოდგენილი განმარტებით, ადვოკატი მ. ს., როგორც მისი წარმომადგენელი მოქმედებს მასთან შეთანხმებულად, მათ შორის სატელევიზიო სივრცეში სიუჟეტის გასვლისას ის მოქმედებდა მისი მითითებით.

II სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი მ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

5.2 ე. ა.-მ კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 11 მაისს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

6. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, მისი მოდავე მხარის ადვოკატმა მ. ს.-მა გაავრცელა საქმეში არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ეხებოდა მის არასრულწლოვან შვილებს, მათ შორის ადვოკატი კონფიდენციალურ მასალებზე საუბრობს სატელევიზიო სივრცეში, ინფორმაციას აწვდის ჟურნალისტებს და აღნიშნულზე ე.წ. საჯარო „პოსტებს“ აქვეყნებს სოციალურ ქსელში.

7.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი პროფესიული ვალდებულების დარღვევის თაობაზე:

> ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“(,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3 (ა)).

7.3 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს კანონის დაუცველად მოქმედებას, მით უფრო თუ საქმე ეხება საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემების დამუშავებას, ადვოკატმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იმოქმედოს, იმისათვის, რომ არ დაირღვეს ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ადვოკატის მიერ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემები დამუშავება უნდა იყოს აუცილებელი დასახული კანონიერი მიზნების მიღწევისთვის. „მონაცემთა სუბიექტის უფლებები და თავისუფლებები არ უნდა აღემატებოდეს მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე მხარის კანონიერ ინტერესებს. ისინი უნდა დაბალანსდეს ინდივიდუალურად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, და ისეთი ელემენტების გათვალისწინებით, როგორიცაა მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის სიმძიმე ან, გარკვეულ შემთხვევებში, მისი ასაკიც კი. თუმცა, CJEU-ს დასკვნით, კონკრეტულ საქმეში ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარს არ ამართლებდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანი იყო“ (დამატებით იხ. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, გვ.178).

7.4 მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებით და საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ადვოკატი მ. ს. დღემდე წარმოადგენს მომჩივანსა და მის ყოფილ მეუღლეს - ლ. ი.-ს შორის არსებულ საოჯახო დავაში ბავშვების მამის ინტერესებს. კერძოდ, დავა ეხება არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხს, ამასთან ალიმენტის დაკისრების და ბავშვების გვარის შეცვლის მოთხოვნას. მომჩივანის პრეტენზიები ეხება ადვოკატ მ. ს.-ის მიერ საქმესთან დაკავშირებით ბავშვების შესახებ არსებული პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების საკითხს. ე. ა. სადავოდ ხდის ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საქმის ირგვლივ არასრულწლოვნებზე კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებას, სხვადასხვა გადაცემებში და მათ შორის, ტელეკომპანია „ფ.-ს“ გადაცემა „შ. ფ-ში“ ადვოკატ მ. ს.-ის მიერ ზემოაღნიშნულ საკითხებზე ინტერვიუს და ფარული ვიდეო ჩანაწერის გავრცელების ფაქტს. ამასთან, მომჩივანი უთითებს, რომ ადვოკატმა ჟურნალისტებს მიაწოდა საქმეში არსებული კონკრეტული მასალები, მათ შორის სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ გამოცემული დასკვნა, ოქმები, რაც აგრეთვე ეხებოდა არასრულწლოვნებზე ინფორმაციას. ადვოკატი არ იზიარებს მომჩივანის პოზიციას და განმარტავს, რომ ის მოქმედებს მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად,

მასთან შეთანხმებით კონფიდენციალობის დაცვით და მის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია არ შეიცავს კონკრეტული პირებზე ინფორმაციას, რასაც ადასტურებს მოწმე ლ. ი. (იხ.პუნქტი:4).

7.5 კოლეგიამ შეაფასა მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალები, მათ შორის საქმეში არსებული ვიდეო ჩანაწერები და მომჩივანის მიერ მითითებული დოკუმენტაცია, რაც ეხება ადვოკატ მ. ს.-ის მიერ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ განთავსებულ პოსტებს და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატ მ. ს.-ის მიერ საქმესთან დაკავშირებით, კერძოდ, არასრულწლოვან ბავშვებზე პერსონალური ინფორმაციის შემცველი ცნობების გავრცელება საჯაროდ, მათ შორის ტელეკომპანია „ფ.-ს“ მიერ გავრცელებულ სიუჟეტში ადვოკატ მ. ს.-ის მიერ ინტერვიუს მიცემისას კონკრეტული პირების თაობაზე მაიდენტიფიცირებადი ინფორმაციის გამჟღავნება, ამასთან, სიუჟეტში კონკრეტული პირის პერსონალურ მონაცემები დაბლარული (დაშიფრული) სახითაა წარმოდგენილი და სიუჟეტში ასახული ინფორმაცია არ იძლევა კონკრეტული პირების, მათ შორის არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების საშუალებას. რაც შეეხება მომჩივანის პრეტენზიას ადვოკატ მ. ს.-ის მიერ საქმეში არსებული სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს კონკრეტული დასკვნის და სხვა მასალების ჟურნალისტებისთვის მიწოდებას, გარდა, მომჩივანის განმარტებისა არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით. მოწმე ლ. ბ.-ის მითითება, იმის თაობაზე, რომ მას ჟურნალისტმა განუცხადა, რომ მხარის წარმომადგენელმა მიაწოდა საქმის მასალები, აღნიშნული არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ კომისიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იმსჯელოს ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის შესაძლო დარღვევაზე.

7.6 შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას საქმეში არსებული არასრულწლოვანი პირების შესახებ პერსონალური მონაცემების გავრცელება - არაკანონიერად მოქმედება.

7.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №035/22 ადვოკატ მ. ს.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/